დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, რუკებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. გარდა ამისა, მერხები დასაწყობებულია. სულ სკოლაში არის 180 ერთეული მერხი და სკამი. სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. მერხებისა და სკამების მიწოდების ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია დიდი ზომის ოთახი სპორტული დარბაზის დანიშნულებით, სადაც დგას მაგიდა ჩოგბურთისთვის. გარდა ამისა, როგორც ზემოთ (ამავე ქვესტანდარტის ა) ქვეპუნქტში) აღინიშნა, სკოლის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე, მოწყობილია - ხელოვნურსაფარიანი ფართი ფრენბურთის მოედანის დანიშნულებით. სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: სხვადასხვა სახეობის ბურთები, ფრენბურთის ბადე, მაგიდა ჩოგბურთისთვის შესაბამისი ჩოგნებით, სპორტული ლეიბები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია ჰქონდა შენობის მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში, რომელშიც ცდების სადემონსტრაციო მაგიდა და სველი წერტილი მოწყობილი იყო ფანჯრის მიმდებარედ. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მართალია ღია ფანჯარა გარკვეული ხარისხით უზრუნველყოფს განიავებას, მაგრამ უმჯობესია გამწოვის კაპიტალურად დამონტაჟება. ლაბორატორიაში არის კარადები ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის. ლაბორატორიული აღჭურვილობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისია.<br>სკოლას შემუშავებული აქვს „საბუნებისმეტყველო ლაბორეტორიის სარგებლობის წესი“ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. მეორე სართულზე მოწყობილია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, ასევე, მეორე სართულზეა სველი წერტილი პერსონალისთვის. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. გარდა ამისა სკოლა სარგებლობს გოგონებისა და ვაჟების სველი წერტილით, რომელიც ეზოშია მოწყობილი და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რომელზეც 2.1 პუნქტში იყო საუბარი. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით.<br>შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტროენერგია და გაზი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან, შესაბამისად ენერგოპრო ჯორჯიასგან და სოკარისგან, ხოლო წყალი მიეწოდება „დაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისგან“. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა რომელიც ინტეგრირებულია კომპიუტერულ კლასთან. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს წარმოადგენს: 1202 ერთეული ძირითადი საბიბლიოთეკო ფონდი მხატვრული ლიტერატურა; 364 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა; წიგნები აღრიცხულია ცალ-ცალკე საინვენტარო წიგნებში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და განლაგებულია ანბანური კატალოგის მიხედვით.<br>სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები და სამკითხველო მაგიდა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლამ განაცხადა, რომ სარგებლობს ელექტრონული წიგნებით, რომლის ბმული დადებულია სკოლის ვებ-გვერდზე: https://skolaxxisaukune.edu.ge/?page_id=482.<br>ამასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიმართვა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორისადმი, რომლითაც ითხოვს წიგნადი ფონდით დახმარებას. მიმართვაზე დადებული იყო საჯარო ბიბლიოთეკის თანხმობის რეზოლუცია. ვიზიტის პერიოდისთვის წიგნები არ არის გადმოცემული. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი N8 საქალაქო ბიბლიოთეკასთან რომლის მიხედვით საქალაქო ბიბლიოთეკა სკოლას დაეხმარება საჭირო წიგნებით სარგებლობაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. საინვენტარო წიგნები;<br>3. მიმართვა საჯარო ბიბლიოთეკისადმი;<br>4. მემორენდუმი N8 საქალაქო ბიბლიოთეკასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. პირველ სართულზე შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას დამზადებული აქვს ასაკეცი პანდუსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 12 კომპიუტერია. კომპიუტერული კლასი ინტეგრირებულია ბიბლიოთეკასთან, სადაც განთავსებულია 9 კომპიუტერი. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://skolaxxisaukune.edu.ge |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „იმერეთის სახანძრო დაცვასთან“. ხელშეკრულების ფარგლებში სკოლის შენობის ხის კონსტრუქციები დამუშავდა სახანძრო და ანტისეპტიკური ხსნარებით, დამზადდა საევაკუაციო გეგმები, დაიმუხდა ცეცხლმაქრები, სკოლას გადაეცა ინვენტარი: ხმამაღლა მოლაპარაკე, სამი ფანარი, გასასვლელების მნათი მანიშნებლები, სტიკერები 112 მითითებით. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო ფარი - შესაბამისი ინვენტარით. სკოლას შემუშავებული აქვს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (თუმცა ჯერ არ არის სამინისტროსთან შეთანხმებული), რომლის ფარგლებში გაწერილია საგანგებო სიტუაციების (მათ შორის ხანძრის) დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.<br>საევაკუაციო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ხელშეკრულება შპს „იმერეთის სახანძრო დაცვასთან“. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და საევაკუაციო გასასვლელების მანათობელი მაჩვენებლები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მეორე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს ექთანი. ამასთან სკოლა პარალელურად აცხადებს ვაკანსიას ექიმის თანამდებობაზე (იხ. https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=212705438&district= ).<br>სკოლას შემუშავებული აქვს „შპს სკოლა XXI საუკუნის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი) ფუნქციონირების წესი“. რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების საფუძველზე. ექთანი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ასევე შენობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ მონიტორინგის შედეგებს. სკოლას მიეცა რჩევა რომ სამედიცინო მომართვიანობის შესახებ ჟურნალი აწარმოოს ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ასევე აწარმოოს „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა“ და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა“, ბრძანების შესაბამისად. სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის მიმდინარეოსას დაიწყო აღნიშნული ჟურნალების წარმოება.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტი სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ექთანთან გასაუბრება;<br>3. მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>4. სააღრიცხვო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი და ამ წესის თანახმად განსაზღვრა უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირი. ეს წესი ჯერ არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან, თუმცა სკოლას გაგზავნილი ჰქონდა წერილი (სკოლაში რეგისტრაციის N2/246, 26.09.2022, იხ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებში „საშუამდგომლო წერილი“). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჯერ შეეთანხმებინა სამინისტროსთან აღნიშნული წესი და შემდეგ დაემტკიცებინა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;<br>2. სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.<br>3. ვიზუალური დათვალიერება;<br>4. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება, სკოლის სივრცისთვის განკუთვნილ ადგილებში ყველგან არ ხდებოდა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს სკოლის შიდა სივრცის ვიდეოკონტროლი, რაც სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში შეიძინა დამატებით 3 ვიდეოკამერა და დაამონტაჟა შესაფერის ადგილას.<br>გარე სივრცის დათვალიერება ხდებოდა ყველა გასასვლელზე, მათ შორის მთავარ შესასვლელზე ორი კამერით.<br>კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო ოთახში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟებაექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადები;<br>3. საბანკო გადარიცხვა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, დებულება. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები.<br>აღსანიშნავია, რომ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად გადმოგზავნილ შინაგანაწესში და დებულებაში იყო რამოდენიმე რეგულაცია რაც ერთი და იგივე პროცესს სხვადასხვაგვარად ასახავდა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაეკეთებინა სინქრონიზაცია. სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის მიმდინარეობისას შეიტანა ცვლილებები ორივე დოკუმენტში. ცვლილების შემდეგ სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თუმცა შინაგანაწესში დისციპლინური კომიტეტი ფიგურირებს, სკოლაში კი ასეთი სტრუქტურული ერთეული არ არის განსაზღვრული. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შინაგანაწესი მოარგოს რეალურ პროცესებს<br>რაც შეეხება სკოლის დებულებას, რომელმაც მცირე ცვლილებები განიცადა, ძირითადად განსაზღვრავს: სკოლის უფლებამოსილებას, მიზნებსა და ამოცანებს; სკოლის მართვის ორგანოებს, მათ ფუნქცია-მოვალეობებს; სკოლის სასწავლო პროცესის და სასწავლო პროცესში მონაწილეების ზოგადი აღწერა; ფინანსური მართვა და კონტროლი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის წესდება;<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. სკოლის დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავეული და დამტკიცებული აქვს 6-წლიანი (2022-2028) სტრატეგიული და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები. სკოლა დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას.<br>სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორის პრიორიტეტულია:<br>• სკოლის ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა, განახლება;<br>• ეტაპობრივი სარემონტო სამუშაოების ჩატარება;<br>• გარე კიბის მოაჯირების გაკეთება;<br>• სველიწერტილების გარემონტება;<br>• სპორტული მოედნის სტანდარტის შესაბამისად მოყვანა;<br>• სკოლის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შევსება წიგნადი ფონდით;<br>• გასახდელების მოწყობა.<br>რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც სტრატეგიული გეგმის პირველი წელია, ითვალისწინებს სტარტეგიული გეგმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას ამ წლისთვის განკუთვნილი წილის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ერთწლიან გეგმაში გარდა აქტივობაზე პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების პერიოდისა, მითითებულია აქტივობის მიზანი, აქტივობისთვის საჭირო რესურსი და შესრულების ინდიკატორები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>2. 1-წლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. Swot ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს შემუშავებული "საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომლის მიხედვითაც ის აწარმოებს: შემოსული კორესპოდენციის ჟურნალს - 01; გასული კორესპოდენციის ჟურნალს - 02; მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების რეესტრის ჟურნალს - 03; პერსონალის მოძრაობის ბრძანებების რეესტრის ჟურნალს - 04; სხვა სახის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი - 05; თანამშრომელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის წიგნი - 07. ყველა მათგანი დანომრილია, ზონარგაყრილი და დაბეჭდილია. შესაბამის საქაღალდეებში დაცულია სათანადო აქტები და კორესპოდენციები და მათი ასლები. გარდა ამისა სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა ანბანური ჩაწერის წიგნს.<br>სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებთან - ბრძანებებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სხვა რკვიზიტებთან ერთად ჩაწეროს: ბრძანების ძალაში შესვლის თარიღი, გასაჩივრების პირობები, ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის პირობები, ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები. რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის მიმდინარეობისას გამოცემული ბრძანებები ითვალისწინებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები;<br>2. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>3. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>4. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები;<br>5. საქმისწარმოების ერთიანი წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, სამინისტროსთან შეთანხმებამდე არ დაემტკიცებინა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | სკოლას მიეცა რჩევა, ლაბორატორიაში, ცდების სადემონსტრაციო მაგიდასთან, დაამონტაჟოს გამწოვი. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შემდეგი აკადემიურ- ტექნიკური პერსონალი. სკოლაში თანამშრომელია, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმის წარმოებელი, აიტი სპეციალისტი, დარაჯი, რომელიც ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირია ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული თანამშრომლებთან, მათ შორის პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას, მათგან 18 უფროსია, 4 მოწვეული, 2 წამყვანი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 24 |
| მოწვეული/მაძიებელი | 4 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 18 |
| წამყვანი მასწავლებლი | 2 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV , ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა. ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალმა შეძლო აღნიშნული პრობლემის მოგვარება.<br>დამტკიცებულია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. ბიბლიოთეკართან , საქმისმწარმოებელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს საფუძველზე, შესაბამისი ფართის ვიზუალური დათვალიერებით, ცხადია, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<br>მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, 20 უფროსი მასწავლებლიდან 2 მასწავლებელს არა აქვს ამ ეტაპზე დადასტურებული სტატუსი. სკოლამ ორივე მასწავლებელი აიყვანა კონკურსის წესით, იმ დროისთვის მათ ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა, გასაუბრებაზე წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ვინაიდან სხვა აპლიკანტი არ იყო სასწავლო პროცესის უსაფრთხოებისთვის კომისიამ გააფორმა ხელშეკრულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პედაგოგებთან და წერილით მიმართა შესაბამის ორგანოს სტატუსის მინიჭების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებით; შრომითი ხელშეკრულებებით.<br>ადმინისტაციასთან გასაუბრებით<br>მასწავლებელთა სათოობრივი დატვირთვა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შპს სკოლის XXI საუკუნე დებულებაში და შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების, გადაყვანის და დათხოვნის წესი, სადაც გაწერილია თანამშრომლის სამუშაოზე მიღების და გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს.<br><br>აქვეა ასახული თანამშრომელთა მუშაობის დრო პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება, (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.)<br><br>ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობები, ასევე მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სხვა დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომისათვის საქმისწარმოების წესი და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს სკოლის XXI საუკუნე დებულება<br>შპს სკოლის XXI საუკუნე შინაგანაწესი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში არის ის ძირითადი პუნქტები, რომლებიც შრომის კოდექსის მოთხოვნითაა გათვალისწინებული. კერძოდ, გარდა მხარეთა უფლება-მოვალეობებისა, განსაზღვრულია ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, შრომის ანაზღაურების, სამუშაო ადგილის, სამუშაო დრო და დასვენების დროს შესახებ ჩანაწერი; ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავების და გამოყენების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შრომითი ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა XXI საუკუნეში შექმნილია დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება.<br>დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, მასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ხარისხის მართვის მენეჯერი. ამ დოკუმენტით პროფესიული განვითერების აქტივობებია გაკვეთილებზე დასწრება, თანამშრომლობა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | როგორც კათედრებს შორის, ასევე მასწავლებლებს შორის, მამოტივირებელი გარემოს შექმნა და სხვა.<br>სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების სქემები და მასწავლებელზე მიცემული რეკომენდაციები.<br>მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლის დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომლებსაც ტრენერობის გამოცდილება აქვთ, ხშირად ატარებენ ტრენინგებს. წარმოდგენილ იქნა მოკლე ჩანაწერები ტრენინგის შესახებ, როგორც ტრენინგის ჩამტარებლებისგან, ასევე მასწავლებლებისგან.<br>გარდა ამისა. მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილ და წარმოებულ სხვადასხვა ტრენინგს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. გაკვეთილზე დასწრების შეფასების სქემები;<br>2. „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ სკოლასი კეთილგანწყობილი და მყუდრო, უსაფრთხო გარემოს არსებობას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ის მშობლები, რომლებიც ახალი გადმოსულები იყვნენ სხვა სკოლიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუები სკოლის წამომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 15.11.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 41



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.